



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/494

21 / დეკემბერი / 2018 წ.



KA000096339008418

## ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N560310) შედეგების გაუქმების შესახებ

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებების (7 ერთეული) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2018 წლის 05 ნოემბრის, N04/255 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებების (7 ერთეული) პრივატიზებასთან დაკავშირებით, მათ შორის საპრივატიზაციოდ გატანილი იყო სატრანსპორტო საშუალება MERCEDES BENZ 2524 (სარეგისტრაციო ნომერი IHI 593, გამოშვების წელი - 1996, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის N CV0101584).

ელექტრონული აუქციონი ჩატარდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge), ლოტის N560310), რომელშიც მის მიერ შემოთავაზებული თანხის 5520.00 (ხუთი ათას ხუთასოცი) ლარის საფუძველზე გაიმარჯვა შპს „მ.გ.“-მ (ს/კ 438730367), იურიდიული მისამართი: ქალაქი სამტრედია, აკაკი შანიძის ქუჩა N32, დირექტორი ვაჟა ჩომახიძე (პირადი N37001057386), რომელზეც 2018 წლის 20 ნოემბერს გაიცა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N17, ხოლო 2018 წლის 04 დეკემბერს შპს „მ.გ.“-სა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა N17 ნასყიდობის ხელშეკრულება.

შპს „მ.გ.“-სა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს შორის 2018 წლის 04 დეკემბერს გაფორმებული N17 ნასყიდობის ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის შესაბამისად მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ: ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში (ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე), სრულად არ გადაიხადა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება (ნასყიდობის საბოლოო ფასი).

შპს „მ.გ.“-მ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება (ნასყიდობის საბოლოო ფასი).

ამდენად, უნდა გაუქმდეს ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, N560310) შედეგები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** გაუქმდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge)) ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N560310) შედეგები.

**მუხლი 2.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნდეს სატრანსპორტო საშუალება MERCEDES BENZ 2524 (სარეგისტრაციო ნომერი IHI 593, გამოშვების წელი - 1996, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის N CV0101584), შპს „მ.გ.“-ზე არ გაიცეს საკუთრების უფლების მოწმობა და მის მიერ გადახდილი „ბე“ 690.00 (ექვსასოთხმოცდაათი) ლარი სრულად ჩაირიცხოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.


**მუხლი 3.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე ([www.poti.gov.ge](http://www.poti.gov.ge)) გამოაქვეყნოს წინამდებარე ბრძანების პირველ და მეორე მუხლში აღნიშნული ინფორმაცია.

**მუხლი 4.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ტურიზმისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსს ლევან ჩოჩიას.

**მუხლი 5.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან

ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).  
**მუხლი 6.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

გონა კურდღელია